



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 40

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. გარდაბანი
30.05.2024

40-06-4-202405301714



„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეთანხმების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 თებერვლის №28 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეთანხმების შესახებ„ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 თებერვლის №28 განკარგულებაში და განკარგულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ მოსამსახურეთა რიცხოვნობა განისაზღვროს 20 (ოცი) ერთეულით.“

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

